

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42

2018 წლის 22 აგვისტო

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ა ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2018, 190020020.35.139.016257).

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 1. ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	19.244.1	21.500.3	2.082.3	19.417.9	20.087.1	2.327.1	17.760.0
გადასახადები	5.862.6	7.209.1	0.0	7.209.1	6.980.0	0.0	6.980.0
გრანტები	3.164.3	2.272.3	2.082.3	190.0	2.517.1	2.327.1	190.0
სხვა შემოსავლები	10.217.3	12.018.8	0.0	12.018.8	10.590.0	0.0	10.590.0
ხარჯები	11.907.4	11.000.5	54.9	10.945.6	12.475.2	0.0	12.475.2
შრომის ანაზღაურება	1.903.9	1.649.1	0.0	1.649.1	1.914.2	0.0	1.914.2
საქონელი და მომსახურება	1.626.0	2.145.3	45.4	2.099.8	2.021.9	0.0	2.021.9
პროცენტი	30.2	21.2	0.0	21.2	65.7	0.0	65.7
სუბსიდიები	4.827.3	4.752.7	0.0	4.752.7	5.752.5	0.0	5.752.5
გრანტები	313.9	130.8	0.0	130.8	77.0	0.0	77.0



სოციალური უზრუნველყოფა	1.921.5	1.355.9	0.0	1.355.9	1.763	0.0	1.763
სხვა ხარჯები	1.284.6	945.5	9.5	936.0	885.5	0.0	885.5
საოპერაციო სალდო	7.336.7	10.499.7	2.027.4	8.472.3	7.606.9	2.327.1	5.279.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6.400.8	8.719.1	2.241.9	6.477.2	13.069.8	2.522.7	10.547.1
ზრდა	6.777.1	8.807.1	2.241.9	6.565.2	13.220.4	2.522.7	10.697.7
კლება	376.3	87.9	0.0	87.9	150.6	0.0	150.6
მთლიანი სალდო	935.9	1.780.6	-214.4	1.995.1	-5.458.4	-195.6	-5.262.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	832.6	1.688.3	-214.4	1.902.7	-5.538.5	-195.6	-5.342.9
ზრდა	832.6	1.902.7	0.0	1.902.7	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	832.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	214.4	214.4	0.0	5.538.5	195.6	5.342.9
ვალდებულებების ცვლილება	-103.3	-92.3	0.0	-92.3	-76.1	0.0	-76.1
კლება	103.3	92.3	0.0	92.3	76.1	0.0	76.1
საშინაო	103.3	92.3	0.0	92.3	76.1	0.0	76.1
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 2. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები 20.237.7 ათ. ლარით, გადასახდელები 25.776.2 ათ. ლარით და ნაშთის ცვლილება -5.538.5 ათ. ლარით თანდართული, რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი		2018 წლის პროექტი			
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	19.620.4	21.588.2	2.082.3	19.505.9	20.237.7	2.327.1	17.910.6



შემოსავლები	19.244.1	21.500.3	2.082.3	19.418.0	20.087.1	2.327.1	17.760.0
არაფინანსური აქტივების კლება	376.3	87.9	0.0	87.9	150.6	0.0	150.6
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	18.787.8	19.899.9	2.296.8	19.603.1	25.776.2	2.522.7	23.253.5
ხარჯები	11.907.4	11.000.5	54.9	10.945.6	12.479.7	0.0	12.479.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	6.777.1	8.807.1	2.241.9	6.565.2	12.998.5	2.522.7	10.697.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	832.6	1.902.7	0.0	1.902.7	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	103.3	92.3	0.0	92.3	76.1	0.0	76.1
ნაშთის ცვლილება	832.6	1.688.3	-214.4	1.902.7	-5.538.5	-195.6	-5.342.9

3. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 20.237.7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	19.244.1	21.500.2	2.082.3	19.417.9	20.087.1	2.327.1	17.760.0
გადასახადები	5.862.5	7.209.1	0.0	7.209.1	6.980.0	0.0	6.980.0
გრანტები	3.164.2	2.272.3	2.082.3	190.0	2.517.1	2.327.1	190.0
სხვა შემოსავლები	10.217.3	12.018.8	0.0	12.018.8	10.590.0	0.0	10.590.0

4. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეოთხე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:



„მუხლი 4. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გადასახადები	5.862.5	7.209.1	6.980.0
საშემოსავლო გადასახადი	768.8	876.0	780.0
ქონების გადასახადი	5.093.7	6.333.1	6.200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.241.4	3.865.5	4.520.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	745.1	257.1	400.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	273.1	341.3	30.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	128.0	139.7	100.0
არასასფლო-სამეურნეო მიწაზე	1.706.1	1.729.6	1.150.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0

5. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეხუთე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 5. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2.517.1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	3.164.2	2.272.3	2.517.1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	3.164.2	2.272.3	2.517.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	190.0	190.0	190.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	190.0	190.0	190.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2.974.2	2.082.3	2.327.1
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების	2.974.2	2.082.3	2.327.1



ფონდი			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	491.4	0.0	0.0
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0
სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები	137.4	0.0	0.0
ბორჯომის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0

6. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეექვსე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 6. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 10.590.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
სხვა შემოსავლები	10.217.3	12.018.8	10.590.0
შემოსავლები საკუთრებიდან	8.598.9	8.933.9	8.430.0
პროცენტები	491.3	772.9	500.0
დივიდენდები	0.0	0.0	0.0
რენტა	8.107.5	8.160.9	7.930.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	8.048.0	8.109.0	7.900.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	59.5	52.0	30.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	778.4	1.866.9	1.520.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	715.5	1.804.3	1.480.0
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	227.1	196.8	150.0
სახელმწიფო ბაჟი	0.0	0.0	0.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.2	0.2	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	120.0	1.235.0	1.000.0



ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	368.1	372.3	330.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	62.9	62.5	40.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	62.9	62.5	40.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	438.5	478.4	390.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	401.5	739.7	250.0

7. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 7. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12.479.7 თასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი		2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	11.907.4	11.000.5	54.9	10.945.6	12.479.7	0.0	12.479.7
შრომის ანაზღაურება	1.903.9	1.649.1	0,0	1.649.1	1.914.2	0.0	1.914.2
საქონელი და მომსახურება	1.626.0	2.145.3	45.4	2.099.8	2.021.9	0.0	2.021.9
პროცენტი	30.2	21.2	0,0	21.2	65.7	0.0	65.7
სუბსიდიები	4.827.3	4.752.7	0,0	4.752.7	5.752.5	0.0	5.752.5
გრანტები	313.9	130.8	0.0	130.8	77.0	0.0	77.0
სოციალური უზრუნველყოფა	1.921.5	1.355.9	0,0	1.355.9	1.763.0	0.0	1.763.0
სხვა ხარჯები	1.284.6	945.5	9.5	936.0	885.5	0.0	885.5

8. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 8. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 13.069.8 ლარის ოდენობით, მათ შორის:



ა) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 13.220.4 ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	33.0	10.8	0.0	10.8	3.370.8	0.0	3.370.8
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	101.5	0.0	101.5
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6.417.1	8.025.3	2.061.5	5.963.8	15.310.1	2.496.5	12.813.6
განათლება	214.1	623.5	180.4	443.1	2.767.2	26.2	2.741
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	112.8	147.5	0.0	147.5	2.119.2	0.0	2.119.2
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	2.107.3	0.0	2.107.3
სულ	6.777.1	8.807.0	2.241.9	6.565.1	25.776.	2.522.7	23.253.5

ბ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება 130.6. ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

--	--	--	--



დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	376.3	87.9	150.6
მირითადი აქტივები	11.8	0.0	130.6
არაწარმოებული აქტივები	364.5	87.9	20.0
მიწა	364.5	87.9	20.0

9. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 9. ბორჯომის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი				2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701 საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2.765.1	2.574.3	0,0	2.574.3	3.294.7	0.0	3.294.7	
7011 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2.723.4	2.2.528.0	0,0	2.528.0	3.189.0	0.0	3.189.0	
70111 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2.723.4	2.519.2	0,0	2.519.2	3.044.1	0.0	3.044.1	
70112 ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	8.8	0.0	8.8	144.9	0.0	144.9	
7013 საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	25.0	0.0	25.0	0.0	0.0	0.0	
7016 ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	30.2	21.2	0.0	21.2	65.7	0.0	65.7	
7018 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	11.5	0.0	0.0	0.0	40.0	0.0	40.0	



702	თავდაცვა	100.4	90.8	0.0	90.8	101.5	0.0	101.5
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3.089.3	5.439.6	1.428.2	4.011.4	6,591.7	2,284.6	4,307.1
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	3.042.7	5.305.8	1.428.2	3.877.6	6.547.1	2.284.6	4.262.5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3.042.7	5.305.8	1.428.2	3.877.6	6.547.1	2.284.6	4.262.5
7046	კავშირგაბმულობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	46.6	133.8	0.0	133.8	44.6	0.0	44.6
705	გარემოს დაცვა	1.171.2	1.614.8	105.1	1.509.7	1.320.2	0.0	1.320.2
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	249.0	828.8	0.0	828.8	855.0	0.0	855.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	23.2	439.5	105.1	334.4	126.9	0.0	126.9
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	898.7	346.4	0.0	346.4	338.4	0.0	338.4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5.332.6	4.415.2	583.1	3.832.1	7.028.1	211.9	6.816.2
7061	ბინათმშენებლობა	342.3	288.8	105.4	183.4	1.088.3	61.7	1.026.7
7063	წყალმომარაგება	925.0	468.6	33.8	434.8	645.6	126.4	519.2
7064	გარე განათება	687.0	694.4	0.0	694.4	660.0	0.0	660.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო- კომუნალურ მეურნეობაში	3.378.4	2.963.4	443.8	2.519.6	4.634.1	23.8	4.610.3
707	ჯანმრთელობის დაცვა	95.7	91.4	0.0	91.4	104.3	0.0	104.3
7072	ამბულატორიული მომსახურება	4.1	11.4	0.0	11.4	16.0	0.0	16.0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	4.1	11.4	0.0	11.4	16.0	0.0	16.0
	საზოგადოებრივი							



7074	ჯანდაცვის მომსახურება	86.8	80.0	0.0	80.0	88.4	0.0	88.4
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	4.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2.643.7	2.111.7	0.0	2.111.7	2.489.2	0.0	2.489.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1.307.2	813.5	0.0	813.5	1.107.4	0.0	1.107.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1.120.4	1.132.9	0.0	1.132.9	1.183.9	0.0	1.183.9
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	170.0	130.0	0.0	130.0	0.0	0.0	0.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	46.1	35.2	0.0	35.2	197.9	0.0	197.9
709	განათლება	1.374.2	1.887.6	180.4	1.707.3	2.767.2	26.2	2,741.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1.296.5	1.832.1	180.4	1.651.7	2.727.2	26.2	2,701.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	77.7	55.6	0.0	55.6	40.0	0.0	40.0
710	სოციალური დაცვა	2.112.2	1.582.3	0.0	1.582.3	2.003.0	0.0	2.003.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	1.272.3	788.4	0.0	788.4	1.201.1	0.0	1.201.1
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	1.272.3	788.4	0.0	788.4	1.201.1	0.0	1.201.1
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	388.7	537.1	0.0	537.1	354.1	0.0	354.1
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.9	0.0	0.0	0.0	2.4	0.0	2.4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	450.3	256.8	0.0	256.8	445.3	0.0	445.3
	სულ	18.684.5	19.807.6	2.296.8	17.510.8	25.700.0	2.522.7	23.177.4

10. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეათე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:



„მუხლი 10. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -5.458.4 ათასი ლარის ოდენობით.

11. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეთერთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 11" ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -5.538.5 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 5.538.5 ათასი ლარის ოდენობით.

12. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეთორმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 12" ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -76.1 ლარის ოდენობით.

13. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მეცამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)
 მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, სასმელი წყლის სისტემების და სახურავების რეაბილიტაცია, სოფლებში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9.751.2	11.564.3	15.310.1	5.910.6	6.211.8	6.139.4

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების, ხიდების, ქუჩის ფეხით სავალი ნაწილების და მოსაცდელელების რეაბილიტაცია, შიდასაქალაქო გზების მოწესრიგება.

1.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი, მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიგა საქალაქო გზების რეაბილიტაცია, განხორციელდება ქ. ბორჯომში შიდა ქუჩების კერძოდ:ნიკოლაძის, 9 აპრილის ქ. ჩიხის, მესხეთის ქ. №127-ის მიმდებარე ჩიხის, რაზმაძის ქუჩის ჩიხების, გურამიშვილის, ჭყონდიდელის,



ბარათაშვილის, 300 არაგველის, რ.ვეფხვაძის, ზაქარიაძის, მაზმიშვილის, ზეინკლიშვილის, ხანძთელის, შანიძის ქ. №9-11 ქუჩების, დაბა ახალდაბის, ბაკურიანის და და წაღვერის, სოფლებში: საკირე, ტაძრისი, ქვაბისხევი, ჭობისხევი, ზანავი,რველიმ, ყვიბისი, ტბა, ცემი, მზეთაშხე,ვარდგინეთისა და დაბის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება ცხრაწყაროს უღელტეხილიდან სოფ. ბალანთამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა.

1.1.2 ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება. მოსაცდელეების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამით ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კიბეების, ბილიკების და მოაჯირების რეაბილიტაცია. ასევე მოხდება გამსახურდიას ქუჩის ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაციის დასრულება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ბორჯომში აღმაშენებლის ქუჩის ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია.

1.1.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქ. ბორჯომში ე.წ „სილამაზის ხიდის“, რობაქიძისა და მესხეთის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის, თორის ქუჩაზე მდებარე მდ.გუჯარულაზე გადასასვლელის ხიდის, სოფ. დვირში, ყვიბისსში, რველში, დაბა ახალდაბაში არსებული ხიდების რეაბილიტაცია.

1.1.4 გარე-ვიდეო სამეთვალყურეო, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და სიჩქარის რადარების შექმნა-დამონტაჟება (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სიჩქარის რადარებისა და სამეთვალყურეო კამერების შექმნა-მონტაჟი.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების და ამხანაგობების თანადაფინანსება.

1.2.1 წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამის კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფ. სადგერსა და ტბაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და სოფ ზანავში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება დაბა ბაკურიანში საზოგადოებრივი ტუალეტების კანალიზაციის რეაბილიტაცია.

1.2.2 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია ქ.ბორჯომში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიების ოთახების რეაბილიტაცია. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდება ქ. ბორჯომში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ცენტრის მშენებლობა, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის და თოჯინების თეატრის შენობის რეაბილიტაცია და ტაძრისის ამბულატორიის რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ყოფილი ინფექციური საავადმყოფოს შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

12.3 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება, ლიფტების, კომუნიკაციების, სადარბაზოების, ფასადების, კიბეების, თაღების, შენობების კაპიტალური გამაგრების, აივნების, საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან სადარბაზოს კარების, მიმენებების მდგრადობის განსაზღვრის, სადარბაზოებში მოძრაობის სენსორული სანათების



დამონტაჟების, შენობების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები. სადარბაზოებში შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის დამონტაჟების სამუშაოები საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით. სახურავების რეაბილიტაცია განხორციელდება: ქ. ბორჯომში გამსახურდიას ქ. №2 და №3, წმ.ნინოს ქ. №35, აღმაშენებლის ქ. №32, ფიროსმანის ქ. №4, ხანძთელის ქ. №7, კოსტავას ქ. №39, პეტრიწის ქ. №9, ერეკლეს ქ. №19, თორის ქ. №6, გორგასლის ქ. №3, აბრამაშვილის ქ. №1, ზეინკლიშვილის ქ. №7. სადარბაზოების რეაბილიტაცია განხორციელდება: თორის ქ. №116 (პირველი სართული), რუსთაველის ქ. №115. ლიფტების რეაბილიტაცია განხორციელდება: რუსთაველის ქ. №69 და სანატორიუმ „პლატო“. ასევე მოხდება ერეკლეს ქ. №19-ში კიბის რეაბილიტაცია.

1.2.4 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით განხორციელდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების რეაბილიტაცია, კერძოდ: ქ. ბორჯომში-ტაბიძის ქ. №12, სააკაძის ქ. №49, ვაშლოვანის ქ. №48, 300 არაგველის ქ. №4, გრ. ხანძთელის ქ. №5, ფიროსმანის ქ. №7, 9, 16, ბესიკის ქ. №9, გურამიშვილის ქ. თამარ მეფის ქ. №31, წმ. ნინოს ქ. №33,35,37 და რუსთაველის ქუჩაზე. ასევე მოხდება აკაკი ხორავას ქუჩაზე მდინარის ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაცია და სოფ. ყვიბისსა და სოფ. ტაძრისში მოხდება გაბიონის მოწყობა. ასევე განხორციელდება სოფ. ვარდგინეთში გზის გამყოლი კედლის რეაბილიტაცია.

1.2.5 დასუფთავების, ნაგავმზიდი სპეც. მანქანის და სანაგვე ურნების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სანაგვე ურნებისა და კონტეინერების შესყიდვა. ასევე განხორციელდება ნაგავმზიდი სპეც. მანქანისა და ქუჩების სარეცხი და სახვეტი მანქანის შეძენა.

1.2.6 გარე განათების ბოძების მონტაჟი, სპეც მანქანის შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე-განათების ახალ ქსელზე დაერთება. ასევე მოხდება სოფ: ტბა, ცემი, სადგერი, დვირი, ჭობისხევი, ქვაბისხევი, ჩითახევი, ტიმოთი, მზეთამზე, ყვიბისი, რველი, ზანავი, კორტანეთი, საკირე, დაბა ახალდაბასა და დაბა წალვერში გარე განათების ქსელის გაფართოება.

1.2.7 ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. ასევე განხორციელდება ხეების გადაბელვა და სანიტარიული ჭრა, არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა, ასევე მოხდება მდინარეების სანაპიროების დასუფთავება.

1.2.8 ბორჯომის გარე-განათება (პროგრამული კოდი 03 02 12)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, განათებასთან დაკავშირებით სარემონტო, სარესტავრაციო, სარეკლამო და სხვა სამუშაოების ჩატარება. ასევე განხორციელდება საახალწლო გარე განათების მონტაჟი/დემონტაჟი.

1.2.9 ბორჯომის სოფლის წყალი (პროგრამული კოდი 03 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, მოსახლეობის 24-საათიანი, სუფთა წყლით უზრუნველყოფა, ასევე საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა.

1.2.10 უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების პოპულაცია (პროგრამული კოდი 03 02 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესწილად



დარჩენილი ძალების გადაყვანა, კასტრაცია, სტერილიზაცია, აცრები და დაბირკვა.

1.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სპორტული მოედნებისა და ატრაქციონების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

1.3.1 სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ასევე დასრულდება თორისა და აღმაშენებლის ქუჩებზე მდებარე სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.

1.3.2 სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების მოწყობა, კერძოდ: აღმაშენებლის, ერეკლეს, პეტრიწისა და გამარჯვების ქუჩების გადაკვეთაზე, მესხეთის ქუჩიდან რობაქიძის ქუჩაზე გადასასვლელი ხიდის მიმდებარედ. ასევე მოხდება ე.წ. დიდი მინდორის ტერიტორიის კეთილმოწყობა. ასევე დასრულდება დაბა ახალდაბაში მდებარე სკვერის რეაბილიტაცია. მოხდება სოფ. სადგერსა და ტაძრისში სკვერების რეაბილიტაცია.

1.3.3 ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა წაღვერში, დაბა ანდეზიტში, სოფ. ტიმოთესუბანში, სოფ. ბეშეთში, სოფ.კორტანეთში, სოფ. ტაბაწყურში სპორტული მოედნების მოწყობა და ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. №29-ში, რუსთაველის ქ. №69,73-ის მიმდებარედ, ხანძთელის ქ. №30-ში, ფალიაშვილის სახელობის სკვერში – საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.

1.3.4 სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოს მოვლა-პატრონობას, ხეების მოჭრას გადაბეღვას და დასუფთავებას.

1.3.5 სამშენებლო-სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება მუნიციპალიტეტის საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურეობის დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

1.3.6 ბორჯომის გამწვანება 2012 (პროგრამული კოდი 03 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა და მათი კეთილმოწყობა, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)



2016 წლის გადმომავალი ნაშთის საფუძველზე განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფ. ყვიბისში მდებარე ხიდის რეაბილიტაცია.

1.5 ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 06)

კვლავ აქტუალური რჩება შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მე-12 კლასის მოსწავლეების ექსკურსიების მოწყობა.

1.6 სატრანსპორტო საშუალებების შეძენა (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სატრანსპორტო საშუალებების კერძოდ ავტობუსების შესყიდვა.

2. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსება მოიცავს: კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს, ვალის მომსახურებას და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სარეზერვო ფონდსა და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფინანსებას. ასევე დაფინანსდება სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამის ხარჯები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის განახლება. ასევე განხორციელდება საახალწლო ნაძვისხის შეძენა. ასევე მოხდება ჟანგბადის მიმწოდებელი აპარატების შეძენა პალიატიური პაციენტებისათვის.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2.860.0	2.642.7	3.370.8	3.433.6	3.243.4	3.192.4

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	1.374.2	1.887.6	2.767.2	1.365.0	1.370.0	1.430.0

3.1 ააიპ „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ (პროგრამული კოდი 04 01 01)

დაბა ბაკურიანში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, ყველა ხარჯი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.



3.1.2 ააიპ ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ (პროგრამული კოდი 04 01 02)

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 10 საბავშვო ბაღი, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს, ინვენტარისა და ავეჯის შეძენას.

3.1.3 ააიპ – ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბაღების რეაბილიტაცია, კერძოდ მოხდება: სოფ. დვირში საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოფ. ციხისჯვარში არსებული შენობის რეაბილიტაცია და სოფ. ტაძრისში საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა.

3.2 საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწავლეების საერთაშორისო ახალგაზრდულ ბანაკებში გასამგზავრებლად ბილეთების შეძენა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პრობლემების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2.493.7	2.017.2	2.119.2	2.193.2	2.208.2	2.262.3

4. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით.

4.1.1 ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანების“ 530-მდე სპორტსმენის დაფინანსებას, გაერთიანება მოიცავს სპორტის 18 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პრობლემების შექმნას. უზრუნველყოფს სპორტსმენთა სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობას.

4.1.2. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები კალათბურთში, ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის, მინი-ფეხბურთი მოსწავლეთა



შორის, მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება წახალისება მიღწეული შედეგებისათვის. განხორციელდება სარაგბო კლუბის დაფინანსება. 2018 წელს განხორციელდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

- ვაჟთა და გოგონათა ტურნირი კალათბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის; (წელიწადში 2-ჯერ)
- ტურნირი ფრენბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის, (წელიწადში 2-ჯერ);
- მინი-ფეხბურთი მოსწავლეებს შორის, (წელიწადში 2-ჯერ);
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მინიფეხბურთის საზაფხულო ტურნირი მოყვარულთა შორის;
- ფრენბურთის ტურნირი (წარმოება დაწესებულებებს შორის);
- კალათბურთის ჩემპიონატი (წარმოება დაწესებულებებს შორის);
- მინიფეხბურთი წარმოება დაწესებულებებს შორის;
- ვაჟთა და გოგონათა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში სკოლის მოსწავლეებს შორის, (წელიწადში 2-ჯერ);
- ვაჟთა და გოგონათა ტურნირი მძლეოსნურ ესტაფეტაში სკოლის მოსწავლეებს შორის, (წელიწადში 2-ჯერ);
- წარჩინებული სპორტსმენების წახალისება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება ბორჯომის სარაგბო კლუბის დაფინანსება.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სამუსიკო სკოლა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 350 მოსწავლე. ასევე ფინანსდება მუსიკალურ სკოლასთან არსებული ანსამბლი „ბორჯომი - 2012“. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება და აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს.

4.2.2 საბიბლიოთეკო გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

4.2.3 კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, თეატრის აღორძინება, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

4.2.4 ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა:

1. ბაკურიანობა;

2. ქალთა საერთაშორისო და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „მღერიან, ცეკვავენ და ხუმრობენ ბორჯომელები“;



3. მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი სასკოლო კლუბებს შორის;
4. ფაშიზმზე გამარჯვების დღე;
5. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
6. თ. ამირეჯიბის სახელობის მუსიკოს შემსრულებელთა მესამე ეროვნული კონკურსი;
7. ბორჯომბა 2018;
8. მასწავლებლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
9. ახალი წელი(ბორჯომში და ბაკურიანში);
10. ანიმაციური ფილმების მე-10 საერთაშორისო ფესტივანი „თოფუზი“;
11. კულტურის, მუსიკის, განათლების სფეროში წარმატებული მოსწავლეების წახალისება;
12. ფუძეობა სამცხე-ჯავახეთი 2018.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა „ეტალონი“ და ასევე დაფინანსდება ეტალონიში გამარჯვებული ბავშვი ყოველთვიური სტიპენდიით

4.2.5 ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლუბების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდება ცენტრალურ პარკში მდებარე აუზის სახურავის რეაბილიტაცია.

4.2.6 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია (05 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბიბლიოგრაფიული მასალის თავმოყრა და მისი ელექტრონული სახით მომზადება, ექსპედიციების ორგანიზება, წარწერების პალეოგრაფიული პირების მომზადება და ფოტოფიქსაცია, ბორჯომის ხეობის წარწერების კორპუსის ბექდურ ვარიანტზე მუშაობა და ნაშრომის პრეზენტაცია.

4.3. ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4.4 საინფორმაციო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტპორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.



ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2.207.9	1.697.2	2.107.3	1.746.0	1.665.0	1.724.3

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- საგანმანათლებლო, სააღმშრდელო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- პროფილაქტიკური აცრების კალენდრით გათვალისწინებული იმუნოპროფილაქტიკისთვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების მიღების შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის, შესრულების მონიტორინგი;
- პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვა ეპიდსაშიშროებისას; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინფექციის, დეზინსექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ პირთა მიერ ამ კანონის მე-5 მუხლის 31-ე და 32-ე პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი;
- „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;
- რუტინული სამედიცინო სტატისტიკის მოპოვება-ანალიზი;
- სხვადასხვა პროფილაქტიკური ჯანდაცვითი პროგრამების ლოჯისტიკა, მათ შორის არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, მასობრივი მომხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- პრობლემური ადგილობრივი სამედიცინო პროგრამების შესახებ რეკომენდაციების მიწოდება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით სოციალური მობილიზაციის ორგანიზება და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
- ჯანმრთელობაზე, რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი;
- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა,



სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით.

5.1.1 ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობის სისტემით მიღებული მონაცემების რეგისტრაცია, შეფასება, დაზუსტება, სტატისტიკური ანგარიშგება და გადაცემა დადგენილი წესის მიხედვით, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა-ანგარიშგება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებებზე ინფორმაციის დამუშავება და მათი პრევენცია. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა, დადგენა.

2018 წელს განხორციელდება ადგილობრივი სტრატეგიული მუნიციპალური პროგრამა - სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰელმინთებით ინვაზიების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ხელშეწყობის ადგილობრივი მუნიციპალური პროგრამა.

პროგრამის ბენეფიციარი იქნება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 3-დან 6 წლის ასაკის ჩათვლით 730-მდე მოზარდი, რომლებსაც ანტიჰელმინთური პრეპარატის პროფილაქტიკური და სამკურნალო დოზის გაცემის წინ ასევე ჩაუტარდებათ უფასო სამედიცინო მარტივი გამოკვლევა გამჭვირვალე პოლიეთილენის მწებავი ლენტით, გამოკვლევა მოხდება ორგანიზებულად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. პროგრამის ფარგლებში ასევე იწარმოებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პოლიეთილენის გამჭვირვალე მწებავი ლენტით იატაკის, კარის სახელურების, სათამაშო ინვენტარის გამოკვლევა ენტერობიოზის კვერცხებზე. ინვაზიების შემთხვევაში დაავადებულ ბავშვზე გაიცემა ანტიჰელმინთური მედიკამენტის სამკურნალო დოზა, ხოლო და კონტაქტირებულებზე პროფილაქტიკური დოზები.

